პროექტი

„დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ბიუროს

2020 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებით

დავით გაბაიძე

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულება

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში – უმაღლესი საბჭო) აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის (შემდგომში _ კომიტეტი) უფლებამოსილებას, შექმნის, საქმიანობისა და გადაწყვეტილებათა მიღების წესებს, აგრეთვე კომიტეტის თავმჯდომარის, მოადგილის, წევრთა უფლებამოსილებასა და კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე დებულებით, განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და ამ დებულების, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს, უმაღლესი საბჭოს ბიუროსა და კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად;

1.2. კომიტეტი არის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად;

1.3. კომიტეტი ახორციელებს საკონტროლო და კანონშემოქმედებით საქმიანობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემავალ შემდეგ საკითხებზე: აგრარული სექტორი, სატყეო მეურნეობა, სამონადირეო საქმე, სურსათისა და საკვები პროდუქტების ხარისხი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მონიტორინგი;

1.4. კომიტეტი ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს მიმდინარე და წინასწარი (პერსპექტიული) გეგმებით, ახორციელებს საკანონმდებლო საკითხების წინასწარ შემუშავებას, განხილვას და უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომისათვის მომზადებას, ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს უწევს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას.

თავი II. კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

კომიტეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში:

2.1. შეიმუშავებს, განიხილავს და უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომისათვის ამზადებს კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს;

2.2. მონაწილეობს უმაღლეს საბჭოში შემოსული კანონპროექტების განხილვა-დამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს და კანონპროექტების თაობაზე წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების ამსახველ ფურცელს გადასცემს უმაღლესი საბჭოს შესაბამის ორგანოს;

2.3. განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს და შეიმუშავებს დასკვნას;

2.4. განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრთა კანდიდატურებს, ასევე იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც ირჩევს, ამტკიცებს და რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს;

2.5. აკონტროლებს კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს უმაღლეს საბჭოს;

2.6. ახორციელებს კონტროლს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს უმაღლეს საბჭოს;

2.7. წყვეტს თავისი საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს;

2.8. სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით;

2.9. უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების საქართველოს კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან ჰარმონიზაციას;

2.10. წინასწარი გეგმით დამტკიცებული ან შესაბამისი პეტიციის საფუძველზე შეისწავლის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს შესაბამის მასალებს და დასკვნას განსახილველად წარუდგენს უმაღლეს საბჭოს;

2.11. აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს კომიტეტში შემოსულ კორესპონდენციებს;

2.12. კონტროლს უწევს კანონების და უმაღლესი საბჭოს დადგენილებების გარდამავალი დებულებებით, ბიუროს გადაწყვეტილებებით განსაზღვრული დავალებების შესრულებას დადგენილ ვადაში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კონტროლის ფუნქციებს;

2.13. ახორციელებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი III. კომიტეტის შემადგენლობა და სტრუქტურა

3.1. კომიტეტის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრები;

3.2. კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში;

3.3. კომიტეტში წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით;

3.4. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით კომიტეტში ფრაქციისათვის კომიტეტის წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში ფრაქცია თავისი გადაწყვეტილებით ნიშნავს კომიტეტის წევრებს, რის შესახებაც აცნობებს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს;

3.5. თუ ფრაქციებში განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენენ კომიტეტში ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, უმაღლესი საბჭოს ბიურო უახლოეს სხდომაზე განსაზღვრავს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს;

3.6. კომიტეტის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

3.7. კომიტეტი უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით თავის წევრთაგან კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს და ამის შესახებ აცნობებს უმაღლესი საბჭოს ბიუროს;

3.8. კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების, გადადგომის და კომიტეტის ახალი თამჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით;

3.9. კომიტეტის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გავიდეს კომიტეტის შემადგენლობიდან. იგი კომიტეტის შემადგენლობიდან გასულად ჩაითვლება, შესაბამისი განცხადების კომიტეტში წარდგენის მომენტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესაბამის უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, აირჩევა, დაინიშნება, დამტკიცდება კომიტეტის წევრისათვის შეუთავსებელ თანამდებობაზე;

3.10. კომიტეტს წარმოადგენს კომიტეტის თავმჯდომარე. კომიტეტის თავმჯდომარე აგრეთვე:

ა) იწვევს და წარმართავს კომიტეტის სხდომებს;

ბ) ხელს აწერს კომიტეტის გადაწყვეტილებებს, დასკვნებს, სხდომის ოქმებს;

გ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს კომიტეტის აპარატს;

დ) ყოველი წლის შედეგების მიხედვით, საშემოდგომო სესიის დაწყებისას უმაღლეს საბჭოს წარუდგენს კომიტეტის საქმიანობის წერილობით ანგარიშს;

ე) წარმოადგენს კომიტეტს უმაღლეს საბჭოში და მის ფარგლებს გარეთ:

ვ) ახორციელებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

3.11. კომიტეტის თავმჯდომარის გადაყენების, გადადგომის, მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

3.12. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:

ა) თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებს მის მოვალეობას;

ბ) თავმჯდომარის დავალებით ასრულებს ცალკეულ დავალებებს.

თავი IV. კომიტეტის მუშაობის ორგანიზება

4.1. კომიტეტის მუშაობას ორგანიზაციას უწევს კომიტეტის თავმჯდომარე. კომიტეტი - უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, შემოსული წინადადებების, საკანონდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტების საფუძველზე შეიმუშავებს და კომიტეტის სხდომაზე იღებს დასკვნებს, შენიშვნებს და გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე;

4.2. კომიტეტის სხდომებს იწვევს და წარმართავს კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას მისი მოადგილე. კომიტეტის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომიტეტი, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთი სხდომისა პლენარული სესიის პერიოდში. კომიტეტი ვალდებულია უმაღლესი საბჭოს ან უმაღლესი საბჭოს ბიუროს დავალებით, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში გამართოს სხდომა და განიხილოს საკითხი;

4.3. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

4.4. კომიტეტის სხდომის მასალები ურიგდება და ინფორმაცია მისი დღის წესრიგისა და თარიღის შესახებ ეცნობება კომიტეტის წევრებს, როგორც წესი სხდომამდე არაუგვიანეს ერთი დღისა;

4.5. კომიტეტის წევრი ვალდებულია ესწრებოდეს კომიტეტის სხდომას და მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში. თუ უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით ორჯერ არ დაესწრება კომიტეტის სხდომას, მას დაეკისრება ჯარიმა გაცდენილი დღის ხელფასისა და უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურების ოდენობით. უმაღლესი საბჭოს

წევრის სხდომაზე დაუსწრებლობის ფაქტი ფორმდება საოქმო ჩანაწერით, კომიტეტის თავმჯდომარის მიერ აღირიცხება და ეგზავნება უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს შემდგომი რეაგირებისთვის;

4.6. კომიტეტი ყოველთვიურად ადგენს კომიტეტის სხდომების გამცდენი უმაღლესი საბჭოს წევრების სიას, თითოეული მათგანის მიერ გაცდენილი სხდომების რაოდენობისა და თარიღის მითითებით. აღიშნული სია გადაეცემა უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, რომელიც მონაცემების სისწორის შესწავლის შემდეგ უზრუნველყოფს მის გამოქვეყნებას პრესაში და განთავსებას უმაღლესი საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე;

4.7. თუ ფრაქციის მიერ დანიშნულ წევრს დროებით არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა კომიტეტის საქმიანობაში, მის დამნიშვნელ ფრაქციას უფლება აქვს აღნიშნული წევრი დროებით შეცვალოს ფრაქციის სხვა წევრით, რის შესახებაც ფრაქცია წერილობით აცნობებს შესაბამის კომიტეტს. ფრაქციის მიერ აღნიშნული უფლება ფრაქციის თითოეული წევრის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს ერთი პლენარული სესიის განმავლობაში არა უმეტეს სამჯერ. კომიტეტის წევრს, რომლის უფლებამონაცვლე ესწრება კომიტეტის სხდომას, შესაბამისი კომიტეტის სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად არ ეთვლება;

4.8. გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომიტეტის წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სხდომის განხსნისათვის (უფლებამოსილების დადგენისათვის) საჭირო ხმების ნახევრისა, გარდა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ღია კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

4.9. კომიტეტის რიგგარეშე სხდომას იწვევს კომიტეტის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს ბიუროს, კომიტეტის სიითი შემადგენლობის ერთი მესამედის მოთხოვნით. კომიტეტის რიგგარეშე სხდომის თარიღი კომიტეტის წევრებს, როგორც წესი ეცნობება სხდომამდე არაუგვიანეს 1 დღისა;

4.10. კომიტეტის სხდომის დღის წესრიგს განსაღვრავს კომიტეტის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან კომიტეტის წევრის (წევრების) მოთხოვნით. დღის წესრიგიდან საკითხის მოხსნა ან დღის წესრიგში ახალი საკითხის შეტანის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

4.11. კომიტეტის სხდომა საჯაროა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სხდომაზე დამსწრე კომიტეტის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს დახურული სხდომა. დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ უმაღლესი საბჭოს წევრებს;

4.12. კომიტეტის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ უმაღლესი საბჭოს წევრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და მოწვეული პირები;

4.13. კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეული იქნენ განსახილველი საკითხით დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთაც სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მიეცემა სიტყვის გამოსვლის უფლება;

4.14. კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეული იქნენ, დადგენილი წესით აკრედიტირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები. შესაძლებელია მოეწყოს კომიტეტის სხდომის ტელე-რადიო რეპორტაჟი და სხდომის შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს პრესაში;

4.15. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით, ბიუროს ან შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილებით, შეიძლება ჩატარდეს კომიტეტების ერთობლივი სხდომა. ერთობლივ სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტები ცალ-ცალკე კენჭისყრით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას;

4.16. კომიტეტის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე ან/და მოადგილე, თუ ის უძღვება სხდომას.

თავი V. კომიტეტში საკანონმდებლო და სხვა საკითხების განხილვა და უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის წესი

5.1. კომიტეტის სხდომაზე განიხილება კომიტეტში შემუშავებული და შემოსული კანონპროექტები, ინფორმაციები კომიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა აქტუალურ საკითხებზე, პეტიციები, მოქალაქეთა საჩივრები, განცხადებები და სხვა ინფორმაციები;

5.2. კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას, რეკომენდაციას, წინადადებას, დასკვნას.

5.3. კომიტეტის დასკვნები წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას, ან იგზავნება დანიშნულებისამებრ;

5.4. კომიტეტი განიხილავს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველად გასატან მის გამგებლობას მიკუთვნებულ ყველა საკითხს;

5.5. კომიტეტი შეისწავლის და აანალიზებს კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობას, იღებს ზომებს მისი შესრულების უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო ხარვეზის აღმოსაფხვრელად ამზადებს წინადადებებს კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე;

5.6. უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები კომიტეტის მოთხოვნით ვალდებულნი არიან კომიტეტის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები;

5.7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი, უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული, დანიშნული, დამტკიცებული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზეც უმაღლესმა საბჭომ თანხმობა მისცა, უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს კომიტეტის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომიტეტმა;

5.8. კომიტეტი განიხილავს თავისი კომპეტენციის სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა თანამდებობაზე არჩევის, დანიშვნის, დამტკიცების ან დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხებს. აღნიშნულ კანდიდატურებთან დაკავშირებით ინფორმაციას კომიტეტს აწვდის კანდიდატურის წარმდგენი;

5.9. კომიტეტი უფლებამოსილია შესაბამის კანდიდატურას მოსთხოვოს წერილობითი ინფორმაცია მისი ბიოგრაფიული ცნობების, შრომითი გამოცდილებისა და პროფესიული განათლების შესახებ;

5.10. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კომიტეტი ამზადებს დასკვნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ პირთათვის ნდობის გამოცხადების, მათი თანმადებობაზე არჩევის, დანიშვნის ან დამტკიცების, ან მათ დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ. დასკვნა მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომიტეტის წევრთა ხმების უმრავლესობით;

5.11. კომიტეტი მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის მოსმენის, კონტროლისა და შემოწმების შედეგად შეიმუშავებს დასკვნას. კომიტეტის დასკვნა უნდა შეიცავდეს შეფასებას და რეაგირების კონკრეტულ ზომებს. კომიტეტი ვალდებულია თავისი დასკვნა უახლოეს სხდომაზე წარმოუდგინოს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

თავი VI. კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

6.1. კომიტეტის საქმიანობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს უმაღლესი საბჭოს კომიტეტის აპარატი, რომელიც წარმოადგენს კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ უმაღლესი საბჭოს აპარატის მუდმივმოქმედ სტრუქტურულ ერთეულს;

6.2. კომიტეტის აპარატი:

ა) მონაწილეობს კომიტეტის კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომიტეტის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადებაში, კომიტეტის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;

ბ) ახორციელებს საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებასა და საქმისწარმოებას;

გ) ასრულებს კანონმდებლობით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, ამ დებულებით, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს აპარატის, კომიტეტის აპარატის დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;

6.3. კომიტეტის აპარატის შემადგენლობაში შედიან კომიტეტის აპარატის უფროსი და სპეციალისტები (საშტატო განრიგით გათვალისწინებული მოხელეები და მოწვეული სპეციალისტები), რომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კანონმდებლობით, ამ დებულებით, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს აპარატისა და კომიტეტის აპარატის დებულებებით.

6.4) კომიტეტის აპარატის უფროსი:

ა) კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად ახორციელებს კომიტეტის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას, კომიტეტის აპარატის მუშაკთა შორის ანაწილებს ფუნქციებსა და დავალებებს, პასუხისმგებელია კომიტეტის აპარატისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებაზე, კოორდინაციას უწევს კომიტეტის აპარატისა და უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობებს.

ბ) ორგანიზებას უწევს კომიტეტის სხდომების მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომის ოქმების გაფორმებას.

გ) უზრუნველყოფს კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა მიერ შრომის დისციპლინის დაცვას, შეაქვს წინადადებები მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

დ) ასრულებს კანონმდებლობით, უმაღლესი საბჭოს აპარატისა და კომიტეტის აპარატის დებულებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

6.5.) კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე:

ა) მუშაობს კომიტეტის თავმჯდომრის მოხსენებების, საჯარო გამოსვლებისა და ანგარიშების მომზადებაზე;

ბ) ორგანიზებას უწევს კომიტეტის თავმჯდომარესთან მოქალაქეთა მიღებას;

გ) ასრულებს კომიტეტის თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს;

დ) თანაშემწეს, კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით, კანონმდებლობის დადგენილი წესის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

6.6.) კომიტეტის აპარატის სპეციალისტები:

ა) მუშაობენ კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ დარგობრივ მიმართულებათა საკითხებზე, მონაწილეობენ კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნებისა და მოხსენებების მომზადებაში, კომიტეტის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში, ასრულებენ კომიტეტის თავმჯდომარის, კომიტეტის წევრებისა და კომიტეტის აპარატის უფროსის დავალებებს;

ბ) აღნუსხავენ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, მათ მიერ მომზადებულ კანონპროექტების განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს;

გ) ასრულებენ კანონმდებლობით, კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს აპარატისა და კომიტეტის აპარატის დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;

დ) კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში პასუხს აგებენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვაზე და თანამდებობრივ მოვალეობათა სრული მოცულობით, კვალიფიციურად შესრულებაზე;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა

კომიტეტის თავმჯდომარე